ПРЕСРЕЛІЗИ
Press Release

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477;  2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

## სახელმწიფო ტელევიზიიდან საზოგადოებრივ მაუწყებლამდე

1-2 ივლისს უკრაინის დედაქალაქ კიევში ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU), ევროპის საბჭოს და NTU-ს ორგანიზებით უკრაინის სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის თემაზე კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციას საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრები, ალექსანდრე ვახტანგოვი, მარინა მუსხელიშვილი, ასევე მაუწყებლის მარკეტინგის სამსახურის უფროსი თინათინ ბერძენიშვილი დაესწრნენ.

მარინა მუსხელიშვილი კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა და საზოგადოებრივი მაუწყებელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე ისაუბრა, აღნიშნა ახალი სამეურვეო საბჭოს მზადყოფნა ახალი გამოწვევებისთვის და გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მალე შეძლებს ლიდერი პოზიციის დაკავებას.

საქართველოდან კონფერენციას ასევე დაესწრო და სიტყვით გამოვიდა მედია-ექსპერტი ზვიად ქორიძე.

უკრაინის საზოგადოებრივი მაუწყებელი (PSBU) ევროპის მაუწყებელთა კავშირის ორი წევრის - უკრაინის ნაციონალური ტელევიზიის და უკრაინის ნაციონალური რადიოკომპანიის შერწყმის შედეგად შეიქმნა. საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნის აუცილებლობა კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმაც დაადასტურა.

უკრაინის რადამ 2014 წლის აპრილში მიიღო კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნის შესახებ, თუმცა კანონის აღსრულება დროებით შეფერხდა, რადგან კანონში ნათლად არ იყო გასაზღვრული მაუწყებლის სამართლებრივი ფორმა, ასევე მმართველი ორგანოს არჩევის საკითხი, რომელიც, თავის მხრივ, გენერალურ დირექტორს ნიშნავს.

კონფერენციის მიმდინარეობისას ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალურმა დირექტორმა ინგრიდ დელანტრემ ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი მაუწყებლის როლს, კომპეტენციას და ძირითად ღირებულებებს. მან აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ვალუტა ნდობაა.

მ. კოსტავას 68;, 0171, თბილისი, საქართველო; Tel./Fax: +995 32  409 115 /409 221; E-mail: info@gpb.ge